შპს „MEDICOM“ მშობელი საწარმო: 404963679

შპს ლაფორტუნადო შვილობილი საწარმო: 203827886

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

(ინდივიდუალური და კონსოლიდირებული)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შპს MEDICOM 404963679 (ინდივიდუალური)

	note	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		2,791	1,777
სავაჭრო მოთხოვნები		124,620	122,740
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები		13,461	13,278
- მზა პროდუქცია			
- სხვა		13,461	13,278
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები		53	128
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,195,008	1,090,530
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		315,918	315,918
სხვა გრძელვადიანი აქტივები (გაცემული სესხი)		222,606	188,992
სულ აქტივები		**1,874,457**	**1,733,363**
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები		24,863	18,832
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები		11,371	1,881
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		246,850	260,722
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		**283,084**	**281,435**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')		1,177,470	1,177,470
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		413,903	274,458
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		**1,591,373**	**1,451,928**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**1,874,457**	**1,733,363**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (კონსოლიდირებული)

(შპს MEDICOM მშობელი საწარმო 404963679; შპს ლაფორტუნადო შვილობილი საწარმო 203827886)

	note	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		5,529	7,145
სავაჭრო მოთხოვნები		124,620	122,740
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			
მარაგები		13,461	13,278
- მზა პროდუქცია			
- სხვა		13,461	13,278
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები		53	1,997
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,539,152	1,411,741
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები (გაცემული სესხი)		222,606	188,992
სულ აქტივები		**1,905,421**	**1,745,893**
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები		24,863	18,832
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები		11,371	
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		246,850	260,722
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		**283,084**	**279,554**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი')		1,177,470	1,186,513
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		444,867	279,826
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		**1,622,337**	**1,466,339**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,905,421	1,745,893

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება შპს MEDICOM 404963679 (ინდივიდუალური)

	note	31/12/2019	31/12/2018
ნეტო ამონაგები		1,119,892	1,114,495
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან		1,119,892	1,114,495
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-57,399	-59,590
საწყისი მარაგები			10,500
მარაგების შესყიდვა			62,368
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		1,062,493	1,054,905
სხვა შემოსავალი		40,920	39,326
დასაქმებულთა ანაზღაურება		-784,449	-771,426
ცვეთა და ამორტიზაცია		-37,486	-36,170
საპროცენტო შემოსავალი:		22,148	19,819
საპროცენტო ხარჯი :		-16,854	-26,747
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-143,663	-133,036
სულ საოპერაციო ხარჯები		-919,384	-908,234
საოპერაციო მოგება		143,109	146,671
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-3,376	3,470
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			-3,027
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		139,733	147,114
მოგების გადასახადი			-939
მოგება/(ზარალი)		139,733	146,175

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (კონსოლიდირებული)
(შპს MEDICOM მშობელი საწარმო 404963679; შპს ლაფორტუნადო შვილობილი საწარმო 203827886)

	note	31/12/2019	31/12/2018
ნეტო ამონაგები		1,181,785	1,174,783
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან		1,181,785	1,174,783
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-57,399	-59,590
საწყისი მარაგები			10,500
მარაგების შესყიდვა			62,368
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		1,124,386	1,115,193
სხვა შემოსავალი		40,920	39,326
დასაქმებულთა ანაზღაურება		-841,082	-845,708
ცვეთა და ამორტიზაცია		-37,486	-36,170
საპროცენტო შემოსავალი:		22,148	19,819
საპროცენტო ხარჯი :		-16,854	-26,747
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-151,548	-139,975
სულ საოპერაციო ხარჯები		-983,902	-989,455
საოპერაციო მოგება		140,484	125,738
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-3,376	3,470
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			-3,027
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		137,108	126,181
მოგების გადასახადი			-939
მოგება/(ზარალი)		137,108	125,242

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება შპს MEDICOM 404963679 (ინდივიდუალური)

	Note	31/12/2019	31/12/2018
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,451,928	1,305,753
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-288	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,591,373	1,451,928

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (კონსოლიდირებული)
(შპს MEDICOM მშობელი საწარმო 404963679; შპს ლაფორტუნადო შვილობილი საწარმო 203827886)

	Note	31/12/2019	31/12/2018
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		1,466,339	1,332,238
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		18,890	8,859
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,622,337	1,466,339

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(შეეხება და მოიცავს როგორც ინდივიდუალურს, ასევე კონსოლიდირებულს)

(შპს MEDICOM მშობელი საწარმო 404963679; შპს ლაფორტუნადო შვილობილი საწარმო 203827886)

კომპანიები და მისი ოპერაციები:

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიების: შპს MEDICOM მშობელი საწარმო 404963679 და შპს ლაფორტუნადო შვილობილი საწარმო 203827886 მიერ (შემდგომში ორივე ერთად როგორც „კომპანია") მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (მსს ფასს) გადასვლაში დასახმარებლად.

ა) შპს MEDICOM დაფუძნდა 2012 წლის 09 ნოემბერს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია" შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის" მისამართია: საქართველო, თბილისი, რევაზ ლაღიძის #8.

საიდენტიფიკაციო კოდი: 404963679

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს სამი მფლობელი და დამფუძნებელი:

1) პაველ კრუგლიაკოვი. რუსეთი. 711385997. 33% წილი კაპიტალში.
2) შონ ლომთაძე. აშშ. 457539429. 33% წილი კაპიტალში.
3) სალომე ყვავილაშვილი. საქართველო. 01024023790. 34% წილი კაპიტალში.

„კომპანიის" დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - სალომე ყვავილაშვილი. საქართველო. 01024023790.

„კომპანიის" ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ბიზნეს საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება (ძირითადი) და უძრავი ქონების (ფართის) იჯარით გადაცემა-გაქირავება (მეორადი). კომპანია ფლობს შენობა-ნაგებობას თბილისში, რევაზ ლაღიძის #8-ში, რომლის ნაწილი გამოიყენება სამედიცინო, ხოლო ნაწილი, იჯარით გადაცემა-გაქირავების საქმიანობისთვის.

ბ) შპს ლაფორტუნადო დაფუძნდა 1995 წლის 10 თებერვალს და მდებარეობს საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

„კომპანიის“ მისამართია: საქართველო, თბილისი, რევაზ ლაღიძის #8.

საიდენტიფიკაციო კოდი: 203827886

„კომპანიის“ დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია - სალომე ყვავილაშვილი. საქართველო. 01024023790.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ბიზნეს საქმიანობაა უძრავი ქონების (ფართის) იჯარით გადაცემა-გაქირავება. კომპანია ფლობს შენობა-ნაგებობას თბილისში (105,71 კვ.მ), რევაზ ლაღიძის #8-ში, რომელიც სრულად აქვს გაქირავებული (იჯარით გაცემული).

შპს MEDICOM-მა შპს ლაფორტუნადოს 100% წილი შეიძინა 2014 წელს 315918 ლარად.

მშობელ საწარმოს შვილობილ საწარმოში სხვა საინვესტიციო ან რაიმე სხვა ტიპის შენატანი არ განუხორციელებია.

მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც კომპანიის მსს ფასს-თან ადაპტაციის პროცესის ნაწილი და შეესაბამება 35-ე განყოფილებას მსს ფასს-ზე გადასვლის პირველადი ადაპტაციის მოთხოვნებს. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2018 წლის 1 იანვარი. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს გადასვლის დღემდე არსებულ შესადარის ინფორმაციას.

(ბ) აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 2019 წლის 15 მაისის სარეკომენდაციო მითითების შესაბამისად, რომელიც იქნება გამოყენებული კომპანიის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების სრული ნაკრების მომზადებისას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

(გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო")

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;

- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

ვალდებულება მოკლევადიანია, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ გააჩნია.

ყველა სხვა სახის ვალდებულებას კომპანია გრძელვადიან ვალდებულებად მიიჩნევს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორიცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობა	50 წელი
მანქანა-დანადგარები	8-10 წელი
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	8-10 წელი
სამედიცინო და სხვა ძირითადი საშუალებები	8-10 წელი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვირსათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად

აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები,

რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მსს ფასს-თან პირველადი ადაპტაცია

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგებების მომზადება და მას არ მოუმზადებია ისინი წინა პერიოდებში. ამიტომ შედარება და ახსნა იმისა, თუ როგორ გავლენას იქონიებს წინა სააღრიცხვო პრაქტიკიდან მსს ფასს-ზე გადასვლა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, მომგებიანობასა და ფულად ნაკადებზე, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული არ არის. მსს ფასს-ზე გადასვლამდე კომპანია ახდენდა ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნებოდა საგადასახადო რეგულაციებსა მმართველი-მენეჯერების საქმიან ინტერესებს.

კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან.

კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით".

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად

გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

ფუნქციონირებადი საწარმო. წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

ძირითადი საშუალებები

ფულადი ერთეული - ლარი

	01.01.2019	31.12.2019	31.12.2019	
	საწ.ღირებ.	ცვეთა	საბ.ღირებ.	
მიწა (მშობელი საწარმო)	0	0	73413	
შენობა-ნაგებობა (მშობელი საწარმო)	949193	19775	929418	
მიმდინარე-დაუმთავრებელი მშენებლობა (მშობელი საწარმო)	22575	0	85385	
სამედიცინო გამოყენების ძირითადი საშუალებები (მშობელი საწარმო)	103521	14052	89469	
სატრანსპორტო საშუალება (მშობელი საწარმო)	2214		0	
ოფისის აღჭურვილობა (მშობელი საწარმო)	2404	401	2003	
სხვა ძირითადი საშუალებები (მშობელი საწარმო)	17508	2189	15319	
სულ ჯამი (მშობელი საწარმო):			**1195008**	
შენობა-ნაგებობა (შვილობილი საწარმო)	351460	7316	**344144**	
სულ ჯამი (კონსოლიდირებული)			**1539152**	

მარაგები

ფულადი ერთეული- ლარი

	01.01.2019	31.12.2019
სამედიცინო მასალა-მედიკამენტები (მშობელი საწარმო)	13278	13461
სულ ჯამი:		

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი ერთეული- ლარი

	01.01.2019	31.12.2019
ფულადი სახსრები ბანკში ლარში (მშობელი საწარმო)	886	1847
ფულადი სახსრები ბანკში ევროში (მშობელი საწარმო)	0	0
ფულადი სახსრები ბანკში აშშ დოლარში (მშობელი საწარმო)	66	0
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში (მშობელი საწარმო)	825	944
ფულადი სახსრები ბანკში ლარში (შვილობილი საწარმო)	5368	2738

საგადასახადო ვალდებულება და აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

შემოსავალი

ფულადი ერთეული-ლარი

31 დეკემბერი 2019

სამედიცინო მომსახურებიდან (მშობელი საწარმო)	683092 ლარი
საიჯარო შემოსავალი (მშობელი საწარმო)	436800 ლარი
შემოსავალი ფარმაცევტებისთვის სარეკლამო სივრცის დათმობიდან (მშობელი საწარმო)	40920 ლარი
საპროცენტო შემოსავალი (მშობელი საწარმო)	22148 ლარი
საიჯარო შემოსავალი (შვილობილი საწარმო)	61893 ლარი

ადმინისტრაციული სხვა საოპერაციო ხარჯი

ფულადი ერთეული- ლარი

გახარჯული სამედიცინო მასალა-მედიკამენტების თვითღირებულება (მშობელი საწარმო)	-57399
დარიცხული ხელფასები (მშობელი საწარმო)	-784449
ცვეთა და ამორტიზაცია (მშობელი საწარმო)	-37486
საპროცენტო ხარჯი (მშობელი საწარმო)	-16854
ბანკის საკომისიო (მშობელი საწარმო)	-2640
ქონების გადასახადი (მშობელი საწარმო)	-5316
კომუნალური გადასახდელები (მშობელი საწარმო)	-61778
საპენსიო ხარჯი (მშობელი საწარმო)	-7779
სხვა მიმდინარე ხარჯი (მშობელი საწარმო)	-66150
კურთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი (მშობელი საწარმო)	-3376
დარიცხული ხელფასები (შვილობილი საწარმო)	-56633
სხვა მიმდინარე ხარჯი (ინტერნეტი, ბანკის საკომიო, საპენსიო) (შვილობილი საწარმო)	-7890

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2020 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

კომპანიის დირექტორი: _____